ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2026 წლის 8 იანვარი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე, 61-ე და 93-ე მუხლების, საქართველოს კანონის „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ დადგენილება (დანართი №1).

მუხლი 2

დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ დადგენილება (დანართი №1).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ნინო ლიპარტელიანი

დანართი №1

მუხლი 1

დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთები შემდეგი ოდენობით:

ა) ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე:

ა.ა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და მათი დამხმარე/სამეურნეო შენობა-ნაგებობების (ავტოფარეხი, სათავსო, ფრინველთა და ცხოველთა სადგომი და სხვა) მშენებლობისთვის – 1 ლარი;

ა.ა.ა) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და სასტუმროების მშენებლობისათვის – 3 ლარი;

ა.ბ) საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისთვის – 8 ლარი;

ა.გ) ამ პუნქტის „ა.ა“–„ა.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მშენებლობების გარდა, სხვა მშენებლობისთვის:

ა.გ.ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწითსარგებლობისათვის აუცილებელი შენობა-ნაგებობების, ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობისათვის – 1 ლარი;

ა.გ.ბ) ყველა სხვა მშენებლობისთვის – 4 ლარი;

ბ) ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში მოსაკრებლის ოდენობა ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისათვის – 1 ლარი;

გ) ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი, მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს:

გ.ა) II კლასის ობიექტებისთვის – 50 ლარს;

გ.ბ) III კლასის ობიექტებისთვის – 200 ლარს;

გ.გ) IV კლასის ობიექტებისთვის – 400 ლარს.

მუხლი 2

მოსაკრებლის გადახდისაგან სრულად გათავისუფლდეს სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

მუხლი 3

1. მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის გადაიხდება ობიექტის მესაკუთრის (ნებართვის მაძიებლის) მიერ წინასწარ, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე.
2. მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის მთლიანად ირიცხება ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.